



სადისკუსიო გზამკვლევი AMAZE ანიმაციური ვიდეო რესურსების გამოყენებით

უსაფრთხოება ინტერნეტსივრცეში

სადისკუსიო გზამკვლევი თარგმნულია აზია წყნარი ოკეანის რეგიონის რესურსიდან

და ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI ის მიერ



გზამკვლევის შესახებ

ვიდეომასალაზე დისკუსიის წინამდებარე გზამკვლევი ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს სხვადასხვა თემაზე შექმნილ ვიდეომასალაზე დისკუსიასთან დაკავშირებულ ექვს გზამკვლევს და რომლებიც განკუთვნილია თანატოლგანმანათლებლების მიერ წარმართული შეხვედრებისთვის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე მოზარდების განათლების მიზნით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში.

ნაკრებში შემავალი თითოეული გზამკვლევი მოიცავს „AMAZE“-ის საგანმანათლებლო ხასიათის ვიდეომასალას, რომელიც ეხება კონკრეტულ თემას, და რომლის ჩართვაც შესაძლებელია ახალგაზრდებისთვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით შემუშავებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება შესაძლებელია დამატებითი რესურსის სახით. თითოეული გზამკვლევი მოიცავს შესავალს, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ვიდეომასალის თემა, ვიდეომასალის ჩვენებასა და მის შემდგომ გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს, სადისკუსიო და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) განკუთვნილ კითხვებსა და არჩევით აქტივობასა და/ან ტესტს.

amaze



ამოცანა

ახალგაზრდების ინფორმირება კიბერბულინგისა და ინტერნეტსივრცეში უსაფრთხოების საკითხებზე, ასოციაცია „HERA XXI“-ის მიერ ნათარგმნი და ადაპტირებული „AMAZE“-ის ამ თემაზე შექმნილი ვიდეოს გამოყენებითა და შესაბამისი დისკუსიისა და თემის გააზრების (რეფლექსიის) ხელშეწყობით.



ეტაპები:


შემაჯამებელი დასკვნები (5 წუთი)

თემის გაცნობა (5 წუთი)

„AMAZE“-ის ვიდეოს ჩვენება (4 წუთი)

დისკუსია და თემის გააზრება (რეფლექსია) (15 წუთი)

არჩევითი აქტივობა (10 წუთი)



შენიშვნა:

ეტაპების ხანგრძლივობა მითითებულია პირობითად.



სამიზნე აუდიტორია:

10-18 წლის მოზარდები



ხანგრძლივობა:

30 - 40 წუთი



დამატებითი მასალები:

- ვიდეოს ბმული: <https://youtu.be/hch2prp6tzk?si=WMCXYbDd9QUKA6rP>
- სომხურ ენაზე: <https://youtu.be/9OCWDT4Kyq4?si=jhLjBXJxtDtJMcZ1>
- აზერბაიჯანულ ენაზე: <https://youtu.be/-4eWh7tp8-s?si=rSyJ9GqRyj0HNO8B>
- LCD პროექტორი და ეკრანი ან მაგიდა კომპიუტერისთვის
- წებოვანი ფურცლები, ფლიფარტის დაფა დიდი ფორმატის ფურცლებით
- ფერადი ფანქრები დისკუსიისა და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) მოზარდებთან დისტანციურად მუშაობისთვის, დაჭირდებით:
- წვდომა „Zoom“-სა ან „Google Meet“-ზე
- „Google“-ის ინსტრუმენტი - „Jamboard“-ი დისკუსიისა და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის)



შესავალი

მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და სხვა ადამიანებთან ონლაინრეჟიმში ურთიერთობა შეიძლება სასიამოვნო გამოცდილება იყოს! თუმცა, ნებისმიერი საქმიანობა, რასაც ონლაინ ვეწევით, ნამდვილად ვერ იქნება დაცული, მათ შორის ელ.გზავნილები, ტექსტური შეტყობინებები და ის აპლიკაციებიც კი, რომლებსაც იყენებთ საკუთარ მობილურ ტელეფონში. ახლა, მოდით ვნახოთ ასოციაცია „HERA XXI“-ის მიერ ნათარგმნი და ადაპტირებული AMAZE-ის ამ თემაზე შექმნილი ვიდეო, რომელიც ინტერნეტსივრცეში უსაფრთხოების საკითხებს გაგვაცნობს.



სადისკუსიო და თემის გააზრებისთვის (რეფლექსიისთვის) განკუთვნილი კითხვები

ვიდეოს ჩვენების შემდეგ შეუდექით თემის განხილვას და მოსწავლეები დისკუსიაში ჩართეთ შემდეგი კითხვების გამოყენებით. დისკუსია წარმართეთ ხელმისაწვდომი დროის გათვალისწინებით და გამოყავით პრიორიტეტული კითხვები, რომელთა განხილვაც გსურთ.

1. რას ფიქრობთ ვიდეოზე? როგორი იყო თქვენი თავდაპირველი რეაქცია?
2. რამდენად ადვილი ან რთული შეიძლება აღმოჩნდეს გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რა ინფორმაციის გაზიარებაა შესაძლებელი ონლაინსივრცეში და რა ინფორმაციის არა, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოებას?
3. როგორ განმარტავთ „კიბერბულინგს“? რა გსმენიათ კიბერბულინგის შესახებ?
4. თქვენი აზრით, რა ზომებს უნდა მივმართოთ კიბერბულინგის შემთხვევების შესამცირებლად?
5. რა ძირითად დასკვნებს გამოიტანდით ნანახი ვიდეომასალიდან და ვიდეომასალაში გამოკვეთილ თემაზე წარმოებული დისკუსიიდან?

შენიშვნა:

გამოხატეთ მადლიერება მონაწილეთა მიმართ, დისკუსიაში მათ მიერ შეტანილი წვლილისთვის, თუმცა, თუ მონაწილეთა შორის არიან პირები, რომლებსაც არ სურთ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება და საუბარი, ნუ აიძულებთ მათ გააკეთონ ის, რაც არ სურთ. შეგიძლიათ მოსწავლეებს სთხოვოთ წებოვანი ფურცლების ან „Google Jamboard“-ის გამოყენება, რაც მათ საკუთარი მოსაზრებების ანონიმურად გამოთქმის შესაძლებლობას მისცემს.

გაითვალისწინეთ!

- პატივი ეცით მონაწილეთა მოსაზრებებსა და შეხედულებებს
- იყავით აქტიური მსმენელი
- გამოიყენეთ ინკლუზიური და გენდერულად ნეიტრალური ტერმინები
- ყველას მიეცით საშუალება უპასუხოთ კითხვებს და საკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ თანატოლებს
- გაახსენეთ მონაწილეებს, რომ აუცილებელია პატივი სცენ სხვებს და ყურადღებით მოუსმინონ მათ

შენიშვნა თანატოლგანმანათლებლებისთვის

- გახსოვდეთ, რომ დისკუსიაში მონაწილეობა ზოგიერთი მონაწილისთვის შეიძლება მატრამვირებელი აღმოჩნდეს, რადგან მათ შესაძლებელია ჰქონდეთ კიბერბულინგის გამოცდილება. შეხვედრის დაწყებამდე აცნობეთ მათ, რომ შეუძლიათ გაგესაუბრონ, შეხვედრის დასრულების შემდეგ, და მზად იყავით იმისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ურჩიოთ მათ ფსიქოლოგთან კონსულტაცია ან ჯანდაცვის მომსახურების მიღება.

- მზად იყავით იმ მონაწილეთა ქცევაზე რეაგირებისათვის, რომლებიც შეეცდებიან საკუთარ პირად გამოცდილებაზე საუბრის დაწყებას, დისკუსიის დროს, ან შეეცდებიან დაასახელონ სავარაუდო მოძალადე. ამისათვის საჭიროა მადლობა გადაუხადოთ მათ, დისკუსიაში შეტანილი წვლილისთვის და მიაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვის უნდა მიმართონ დახმარებისთვის, მათ შორის, როგორ უნდა მიმართონ უფროსი ასაკის სანდო პირს.

- ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოვეციდეთ მონაწილეთა განსაკუთრებულ საჭიროებებს. ზოგიერთი მონაწილე შეიძლება საჭიროებდეს განსაკუთრებულ გარემოს, დისკუსიებსა ან აქტივობებში ჩართვისთვის. მაგალითად, შეგიძლიათ მთარგმნოთ ფიზიკური სივრცე გადაადგილების შეზღუდვის მქონე მონაწილეების საჭიროებებს, ან კორექტირება შეიტანოთ აქტივობაში, რათა მონაწილეებს ნაკლებად დასჭირდეთ გადაადგილება.



არჩევითი აქტივობა:

მოცემული აქტივობა საშუალებას აძლევს მონაწილეებს, ინტერაქტიული გზით, უკეთ გაიაზრონ ვიდეომასალიდან მიღებული ინფორმაცია.

აუხსენით მონაწილეებს, რომ თქვენ აპირებთ ჩართოთ ისინი აქტივობაში, რომლის დროსაც ისინი უნდა დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ თქვენ მიერ წარმოთქმულ წინადადებებს. უთხარით მონაწილეებს, რომ განლაგდნენ შუა ოთახში, სახით თქვენსკენ; მას შემდეგ, რაც თქვენ წაკითხავთ წინადადებას, იმ მონაწილეებმა, რომლებიც ეთანხმებიან თქვენ მიერ წაკითხულ წინადადებას, უნდა გადადგან ერთი ნაბიჯი წინ, ხოლო მათ, ვინც არ ეთანხმება, ერთი ნაბიჯი უკან. თუ აქტივობას ვირტუალურად ატარებთ, სთხოვეთ მონაწილეებს გამოიყენონ „Zoom“-ის ხელის აწევის ფუნქცია, რა დროსაც ხელი უნდა აწიონ მხოლოდ იმ მონაწილეებმა, რომლებიც ეთანხმებიან თქვენ მიერ წაკითხულ წინადადებას.

წინადადებები, რომლებსაც უნდა დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ მონაწილეები:

1. ინტერნეტით სარგებლობა თავისუფლად არის შესაძლებელი, ამიტომ სოციალური მედიის პლატფორმებზე პირადი ისტორიებისა ან ინფორმაციის გაზიარება დასაშვებია.
2. ვიღაც მუქარის შემცველ შეტყობინებებს უგზავნის თქვენს მეგობარს. ვინაიდან ფიქრობთ, რომ თქვენი მეგობარი კიბერბულინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს, თქვენ ურჩევთ მას ამ საკითხზე გაესაუბროს უფროსი ასაკის სანდო პირს.
3. ვიღაც მუქარის შემცველ შეტყობინებებს უგზავნის თქვენს მეგობარს, სოციალური მედიის პლატფორმებზე. ამ შემთხვევაში, საუკეთესო არჩევანი იქნება შეტყობინებებზე პასუხის გაცემა და ბრძოლაში ჩართვა.
4. მისაღებია, პირადად შეხვდეთ ადამიანს, რომელიც ონლაინსივრცეში გაიცანი, განსაკუთრებით მაშინ, თუ მასთან დიდი ხანია ურთიერთობ.

თითოეული წინადადების წაკითხვის შემდეგ, სთხოვეთ რამდენიმე მოხალისეს, გაგიზიარონ, რატომ ეთანხმებიან ან არ ეთანხმებიან თქვენ მიერ წარმოთქმულ წინადადებას.

მადლობა გადაუხადეთ მონაწილეებს ამ აქტივობაში მონაწილეობისთვის და დაასრულეთ აქტივობა მონაწილეებისათვის შემაჯამებელი დასკვნების გაზიარებით

რა არის კიბერბულინგი?

კიბერბულინგი გულისხმობს ელექტრონული შეტყობინებების, მათ შორის სურათების ან ვიდეოების გამოქვეყნებას ან გაგზავნას, რომელიც მიზნად ისახავს სხვა პირის შევიწროებას, დამინებას ან მიზანში ამოღებას.¹



როგორ შევამციროთ კიბერბულინგის შემთხვევები?

1. ისარგებლეთ სოციალური მედიის პარამეტრებით და უზრუნველყავით, რომ მხოლოდ თქვენ მიერ შერჩეულმა ადამიანებმა შეძლონ თქვენი პირადი ინფორმაციისა და პოსტების ნახვა. მნიშვნელოვანია კონფიდენციალურობის პარამეტრების ხშირად შემოწმება, რადგან პლატფორმები ზოგჯერ თავად ცვლიან თავიანთ პოლიტიკას.
2. დაფიქრდით სანამ ინფორმაციას ან ფოტოს გამოაქვეყნებ.
3. არ გამყვანოთ ონლაინ თქვენი საიდენტიფიკაციო დეტალები, როგორცაა მისამართი, ტელეფონის ნომერი, სკოლა, საკრედიტო ბარათის ნომერი და სხვა პერსონალური ინფორმაცია.



ძირითადი დასკვნები

დაასრულეთ შეხვედრა მონაწილეებისათვის ქვემოთ მოცემული ძირითადი შემაჯამებელი დასკვნების გაზიარებით:

ვიდრე გადაწყვეტთ რაიმეს გამოქვეყნებას ან გაზიარებას თქვენი სოციალური მედიის პლატფორმაზე, გაიხსენეთ, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რასაც ონლაინსივრცეში ვახორციელებთ, ნამდვილად ვერ იქნება დაცული, მათ შორის ელ.გზავნილები, ტექსტური შეტყობინებები და ის აპლიკაციებიც კი, რომლებსაც ვიყენებთ საკუთარ მობილურ ტელეფონში. თუმცა, შეგვიძლია ვაკონტროლოთ ის, თუ რას ვუზიარებთ მეგობრებს, ქსელებსა და მსოფლიოს და, კონკრეტული ქმედებების საშუალებით, შეგვიძლია უზრუნველყოთ საკუთარი უსაფრთხოება.

თუ ადამიანი, რომელსაც ინტერნეტით გაიცნობთ, დისკომფორტს გიქმნით - დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მასთან ურთიერთობა და ამ ფაქტის შესახებ გაესაუბრეთ უფროსი ასაკის სანდო პირს. უმჯობესია არ შეხვდეთ პირისპირ ინტერნეტით გაცნობილ პირს, მაგრამ თუ მაინც გადაწყვეტთ მასთან შეხვედრას, შეხვდით მას საჯარო და ხალხმრავალ სივრცეში და უზრუნველყავით ის, რომ მასთან შეხვედრისას თან გახლდეთ თქვენი მეგობარი. თუ მუქარის ან დაშინების შემცველ შეტყობინებებს იღებთ ინტერნეტით, ან აღმოაჩენთ, რომ ვინმე აზიარებს თქვენს ფოტოებს ან პერსონალურ მონაცემებს, თქვენი თანხმობის გარეშე, თქვენ კიბერბულინგის სამიზნეს წარმოადგენთ. თუ აცნობიერებ, რომ თქვენ ან თქვენი ნაცნობი კიბერბულინგის სამიზნეს წარმოადგენს - უმჯობესია დაბლოკოთ, წაშალოთ ან უგულბელოთ მუქარის შემცველი შეტყობინებები, ვიდრე პასუხი გასცეთ. თუ ეს ხერხი არ გაამართლებს, ან თუ ეს საფრთხეს გიქმნით - სთხოვეთ დახმარება უფროსი ასაკის სანდო პირს.

დამატებითი მასალა:

- ძალადობა და უსაფრთხოება - <http://forteachers.ge/temis-mixedvit/zaladoba-da-usaftxoeba/>



ავტორები:
ბირენდრა
ბისტი, ნაურა
ჰარიანტოდა
შამბჰაუდჰიკარი
ქართულენაზედაპტირებულია
ასოციაციაHERA XXIის მიერ